

ახალგაზრდული ასოციაცია დრონის სიახლეები

დრონის სიახლეები

მარტი

2022



თემები

აქტივობები მარტში

მოხალისეთა
დღიური

დრონის წევრები
საზღვარგარეთ

ღია ვაკანსიები

მომავალი
აქტივობები

აქტივობები მარტში

სასწავლო კურსი რუსთავში

LIARS & VERIFIERS

ახალგაზრდულმა ასოციაციამ დრონმა მოაწყო ტრენინგ-კურსი სახელწოდებით Liars and Verifiers, რომელიც გაიმართა რუსთავში 28 თებერვლიდან 7 მარტამდე. პროფესიონალი და მოყვარული ახალგაზრდა მუშაკები ჩეხეთიდან, საქართველოდან, გერმანიიდან, სომხეთიდან, თურქეთიდან და უკრაინიდან შეიკრიბნენ, რათა მეტი გაეგოთ მედიაწიგნიერების შესახებ.

პროექტის მიზნები იყო:

- სასწავლო პროცესის წარმართვა მედიაწიგნიერებისა და ყალბი ამბების შესახებ
- საუკეთესო პრაქტიკის გაცვლა მედიაწიგნიერებისა და ყალბი ამბების შესახებ
- საუკეთესო პრაქტიკის გაცვლა ინკლუზიასთან და მრავალფეროვნებასთან დაკავშირებით და ნაკლები შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების კონკრეტული ჩართულობა
- 18 სემინარის დაგეგმვა და განხორციელება თითოეული მონაწილე ორგანიზაციის ადგილობრივ კონტექსტში
- ინსტრუმენტარიუმის შექმნა ახალგაზრდული მუშაკებისა და ტრენერებისთვის მედიაწიგნიერებისა და ყალბი ამბების შესახებ
- ახალგაზრდული ასოციაციების ქსელის გაძლიერება ყალბი ამბების წინააღმდეგ



აქ არის კლემენსი,
ESC პროექტის ახალი
გერმანელი მოხალისე
JAM News-ში

აქტივობები მარტში

ახალგაზრდული გაცვლა ბაკურიანში

VIDEOTOPIA!

ახალგაზრდული ასოციაციამ დრონმა 18-27 მარტს ბაკურიანში მოაწყო ახალგაზრდული გაცვლა სახელწოდებით **VIDEOTOPIA!**. პროექტი მიზნად ისახავდა ახალგაზრდების კრეატიულობისა და თვითგაძლიერების პროცესის გაზრდას ციფრული მედიის გამოყენებით და ახალგაზრდებთან მიახლოება თხრობის საშუალებებით და შეისწავლეს როგორ გამოიყენონ კამერა, აუდიო ჩამწერი და ვიდეო რედაქტირების პროგრამული უზრუნველყოფა.

საერთაშორისო ახალგაზრდული გაცვლა "VIDEOTOPIA!"-ს პირველი ნაწილი 2021 წლის სექტემბერში ბერლინში გაიმართა და მეორე ნაწილი საქართველოში გაგრძელდა. პროექტი ორგანიზებული იყო გერმანული არასამთავრობო ორგანიზაცია „Chance International“-ის მიერ Erasmus+ პროგრამის ფარგლებში. ოცი ახალგაზრდა ხუთი სხვადასხვა ქვეყნიდან (საქართველო, გერმანია, ესპანეთი, ბოსნია-ჰერცეგოვინა) შეხვდა ბერლინში შემოქმედებით ჯგუფურ პროცესში ჩასართავად მოკლემეტრაჟიანი ფილმების, თეატრისა და თხრობის სემინარების შექმნის მიზნით.



აქტივობები მარტში



££C ქარავანი გორში და თელავში

პარასკევს 11 და სამშაბათს 22 მარტს, ჩვენი ევროპის სოლიდარობის კორპუსის მოხალისეებმა Erasmus+ ახალგაზრდობისა და ევროპის სოლიდარობის კორპუსის საინფორმაციო ცენტრისა და ახალგაზრდული ასოციაციის დრონის გუნდთან ერთად მოაწყვეს მორიგი ESC ქარავანის შეხვედრა. მეორე შეხვედრა გაიმართა გორში დაფუძნებულ ორგანიზაციაში "Civil Forum for Peace"-ში, ხოლო მესამე თელავის მე-8 საჯარო სკოლაში.

ჩვენი გუნდი შეხვდა 13-დან 17 წლამდე 20-ზე მეტ ახალგაზრდას, რომლებთანაც განვიხილეთ Erasmus+ პროგრამის სხვადასხვა შესაძლებლობები და ჩავატარეთ სამუშაო შეხვედრები ადამიანის უფლებების შესახებ. მონაწილეები გაეცნენ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას და როგორ შეიქმნა ის, ამის გარდა გაიგეს, თუ რომელი უფლებები ითვლება ადამიანის უფლებად და რომელი არა.


გორში ჩვენი გუნდი მუშაობდა ორ საერთაშორისო ESC მოხალისესთან გერმანიიდან, ლუსიანასა და ტილთან ერთად. მათ ასევე ისაუბრეს საქართველოში არსებულ გამოცდილებაზე. მეორეს მხრივ, თელავში ჩავრთეთ DRONI-ის ადგილობრივი წევრი და მოხალისე ლეილა, რომელიც დაგვცხმარა ადამიანის უფლებების ვორქშოპის მომზადებაში და უკეთ აუხსნა HRE კონცეფციები ჩვენს მონაწილეებს.



აქტივობები მარტში

შეხვედრა უნივერსიტეტთან

ახალგაზრდულმა ასოციაციამ დრონმა და Erasmus + ახალგაზრდობისა და ევროპის სოლიდარობის კორპუსის საინფორმაციო ცენტრმა 11 მარტს გამართეს ონლაინ საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სტუდენტებთან. შეხვედრას ესწრებოდნენ ევროპის სოლიდარობის კორპუსის მოხალისეები, რომლებმაც თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს სტუდენტებს.



USE-IT პირველი კორექშოპი

პარასკევს, 2022 წლის 18 მარტს, ახალგაზრდული ასოციაცია დრონის მოხალისემ მარინა მოაწყო USE-IT MAP Tbilisi-ის მესამე ვერსიის პირველი გაცნობითი შეხვედრა! ძალიან თბილ და სასიამოვნო გარემოში მონაწილეებმა გაიგეს მეტი USE-IT რუქების კონცეფციების, მათი ისტორიისა და ფილოსოფიის შესახებ. მონაწილეებმა ასევე გააზიარეს და ხმა მისცეს მათ საყვარელ ადგილებს, ღირსშესანიშნაობებს, დასასვენებელ ადგილებს და შემოიღმუშავეს მათი აზრით ტურისტებისთვის საინტერესო სასეირნო მარშრუტები.



აქტივობები მარტში

პროექტის "REINFORCING GAMES AS AN EDUCATIONAL TOOL FOR SOCIAL CHANGE" შემდგომი აქტივობა.

"Reinforcing Games as an Educational Tool for Social Change" იყო სატრენინგო კურსი, რომელიც მიმდინარეობდა 4 თებერვლიდან 11 თებერვლამდე რუსთავში, საქართველოში. შემდეგი შედეგები და ქმედებები უკვე განხორციელდა მონაწილეთა მიერ სომხეთიდან:

- ანა კარაპეტიანმა, საგანმანათლებლო ცენტრის "Planemo"-ს დამფუძნებელმა და გიუმრის ტექნოლოგიური ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამის ოფიცერმა, განახორციელა შემდგომი აქტივობა ახალგაზრდებთან, სადაც განმარტა სამაგიდო თამაშების შექმნის ტექნიკა არსებული მაგიდის თამაშებზე და სხვა მასალებზე.
- გორ გალსტიანმა ლექცია წაიკითხა დედათა საყდრის ეჯმიაწინის ევრნეკიანის სკოლის გვიანდელ მოზარდთა ჯგუფს და წარუდგინა თამაშების შექმნის მთელი პროცესი. გორმა მათ აჩვენა თამაშების შექმნის მექანიზმი და პროცესი, ასევე გააცნო პრეზენტაცია და შემდეგ მათ ითამაშეს პროფესიონალური თამაში სომხურ ენაზე სომხურ ეკლესია-მონასტრების თემაზე. თამაშის შემდეგ მოსწავლეებმა ისაუბრეს თამაშის ცუდ მხარეებზე და ასევე გამოთქვეს თავიანთი აზრი, თუ როგორი უნდა იყოს თამაში.
- სონა დავთიანი მუშაობს ახალგაზრდებთან და მისი შემდგომი აქტივობა კლუბის 24 ახალგაზრდასთან შეხვედრისას განხორციელდა. მათ ითამაშეს სამაგიდო თამაში დედაქალაქ ერევნის, მისი ღირსშესანიშნაობების, ქუჩების, ძეგლების შესახებ. თამაშის შემდეგ სონამ მათ წარუდგინა მსგავსი თამაშების შექმნის მთელი პროცესი. აუხსნა მათთვის ამ ტიპის თამაშის მნიშვნელობა სასწავლო პროცესში და ამიტომ ეცადა მათთვის დაემტკიცებინა რომ განათლება შეიძლება იყოს არა მხოლოდ ფორმალური, არამედ აქტიური და საინტერესო პროცესიც. შემდეგ თამაშის მექანიზმების, კარგი და ცუდი მხარეების განხილვა მოჰყვა.



მოხალისეთა დღიური




მოხალისეების
ნაწილი
გუდაურში
თბილამურებზე
სასრიალოდ
წავიდა



ჩვენ დავტოვეთ
ვაჟა-ფშაველას
ოფისი.



ტესამ ტალახის ტბები
მოინახულა.



მოხალისეთა გუნდმა ახალი
კალენდარი შეადგინა



დომიმ
ლიმონიანი
ჩიბუქი
მოამზადა



პლასტმასის ბოთლები
მივიტანეთ
გადასამუშავებლად...




ემი და სემი
ბაკურიანში იყვნენ!



გოგონები
საქართველოს
ეროვნულ
გალერეას
ესტუმრნენ



ESC Caravan-ის
შეხვედრის
შემდეგ
თელავში
გავერთეთ



შეხვედრა გორელ მოხალისეებთან



ხინკალით
ტკბობა ოფისში...

დრონის წევრები საზღვარგარეთ

ჩოტებორი. ჩეხეთის რესპუბლიკა

12-21 თებერვალს ჩეხეთის რესპუბლიკაში, ჩოტებორში გაიმართა ახალგაზრდული გაცვლა "Play the Way". ეს იყო პროექტის მეორე ეტაპი და შეიძლება ჩაითვალოს ტრენინგის კურსის გაგრძელებად 2021 წლის დეკემბრიდან. ახალგაზრდულ გაცვლას ჰქონდა უზარმაზარი დასწრება - 45 ადამიანი 9 სხვადასხვა ქვეყნიდან. ყველა მათგანს ყოველდღიურ ცხოვრებაში ერთი საერთო პრობლემა ჰქონდა: შრომის ბაზარი. გაცვლის დროს მათ მიიღეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს ბაზარი და რა უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ იყვნენ უკეთესი. სხვადასხვა ქვეყნების ლიდერებს საშუალება ჰქონდათ ხელი შეეწყობა ამ თემაზე დაკავშირებულ საქმიანობაში. ამ აქტივობებისთვის მათ გამოიყენეს თამაშები, რომლებიც შეიქმნა სასწავლო კურსის დროს დეკემბერში. ამ თამაშებმა მართლაც კარგი გამოხმაურება მიიღო, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ეფექტურია და მათ შეუძლიათ რეალურად დაეხმარონ ადამიანს შრომის ბაზრის პრობლემების დაძლევაში.



საზავა. ჩეხეთის რესპუბლიკა

DRONI-ის წევრებმა მიიღეს მონაწილეობა "CooperACT!"-ში, კონტაქტების დამყარების სემინარში, რომელიც გაიმართა 2021 წლის 17-25 მარტს საზავაში, ჩეხეთის რესპუბლიკაში. მონაწილეებმა თხუთმეტი ქვეყნიდან პროექტში შეიტანეს თავიანთი წვლილი და საუკეთესო იდეები გასაზიარებლად. სემინარის მიზანი იყო სხვადასხვა წარმომავლობის არასამთავრობო ორგანიზაციების პედაგოგების გაერთიანება. მათ განიხილეს თუ როგორ უნდა გააძლიერონ თავიანთი შესაძლებლობები ადამიანის უფლებათა განათლებისა და ინტერკულტურული სწავლების კუთხით დღევანდელი გამოწვევების გადასაჭრელად.



დრონის წევრები საზღვარგარეთ

როგორი იყო თებერვალის ჩვენი ESC მოხალისეებისთვის საზღვარგარეთ?

Hello, I am Nata and I am in Turkey with a short-term volunteer project, specifically in Gaziantep.

The first month was very exciting and rewarding for me. This city is the center of gastronomy, so it was kind of a challenge to taste their food.

From the beginning of the project until today we have been involved in many interesting activities, for example Conversation clubs with local people, in this club we share our experience on various issues, as well as help them to improve their English level.

It turned out to be very interesting for me to work with refugee children, to help them realize themselves and to easily integrate into society is a very enjoyable process.

This is a volunteer project of the first European Solidarity Corps for me, I would advise everyone that if they want to get an interesting experience, meet new people from different countries of the world, get to know the culture of different countries better, I think this project is the best way.

NATA JACHVADZE
ESC volunteer in Turkey



It's already been 2 months of my volunteering in Gaziantep, Turkey.

Our project is about Technology transferring and entrepreneurship at Hasan Kalyoncu university. As I am a physicist who has an experience in teaching physics/science in Georgia and also who works at STEM club it was great to have science classes at Erdem Koleji with Turkish pupils.

Also I was participating in Arduino programming classes on weekend at Bilim Şehitkamil. We went to carpet factory to find out how carpets are made. The 50% of factorial carpets of the world is produced in Gaziantep.

We followed the weekly schedule, which was truly diverse and exciting. Several days a week we had Turkish classes, golf courses and English conversation clubs. We visited Solar panel's factory it is remarkable that our visit was covered in the local newspaper. We also visited a plastic recycling factory.

MEDI ABRAMISHVILI
ESC volunteer in Turkey



On the first day of the year, I celebrated with my international friends in Berlin. We had dinner together, watch Home Alone, and enjoyed a lot with music and dance. We found it common that the movie is kind of 'tradition' for all of us.

The new year started with new energy, ideas, enthusiasm, and motivation. It was a mixed feeling of holiday and working mood at the beginning in the office. I had my Christmas holidays in Poland, where I met my friends from Georgia. Spend super cool time together and enjoys exploring Gdansk together. I celebrated the old new year with my international friend, was a lot of fun. We had dinner together with the national foods of Georgia, Ukraine, Russia, Tunisia, Germany, Egypt. Explained what is an old new year and created one of the memorable days. End of the month my organization hosted teachers from Lithuania. It was a one-week seminar on the topic of integration. During the visit, we had a chance to see German professional schools, Organisations that work with migrants, and understand the concept of the different projects. In conclusion, January was a productive month. I developed my management, communication, writing skills.

SALOME KAKABADZE
ESC volunteer in Germany



For me, February in Gaziantep can be described as a constant state of excitement. Without any exaggeration, every single day there was full of new and truly interesting experiences.

We travelled within the country and formed some of the greatest memories. When you are having best of the laughs with the people of all over the world, when you are watching hundreds of colorful hot air balloons taking off at the first light of the rising sun or when the old narrow streets take you to a time-travelling journey, you truly start appreciating life and acknowledging the value of being alive. Apart from traveling to Mardin and Cappadocia, we were still exploring our hosting city, which is extremely diverse and fascinating.

In the last days we visited several museums, which is the biggest mosaic museum in the world.

Would I say that this was a life changing experience? – Maybe yes, I truly would. I am still the same person, with the same values and same dreams, but I have not felt so alive in a very long period of time. I finally got this breath of a fresh air, which I was craving for a truly long while. Since the day I arrived here, I was extremely thrilled, but very calm at the same time. Finally, all the anxiety had left my mind and only pure excitement was left. Maybe, it is a Gaziantep effect, who knows? Or maybe that is how your body and mind reacts when you acknowledge that the world is full of unexpected and truly amazing opportunities.

TAMAR KHUTSISHVILI
ESC volunteer in Turkey

I have already adapted to my new lifestyle. The feeling is like, I have been there for several months, or years, not only two months. February was full of many interesting things. We have a new job in the school, the school is located in the village, called Sambateni, near to Arad. I and my colleague were the first, who went there, so it was like an adventure. I liked this school so much, because of the children. They are so nice to us, interested in anything and most of them know English well and communicating with them is easy. Their teacher is with us for the whole time, so if we need anything she helps us, because of that I am not stressed or something to work there. I continue to work in the Logs Timisoara, where we help the refugees. Realizing the fact, that you have a little, but still the role in helping with people is so pleasant. Working in Vis Dr Copil is still my favorite job. At the end of February Philip, who manages the place, got help from organizations, so we helped him to get and then organize the things.

In February I had online On-Arrival Training. It lasted for one week. I met other volunteers from different countries. The training was very informative. I learned a lot of things about Romania and not only. During this training we also met National Agency. So I know more about this. At last, I want to say, that this project is interesting because it's not monotonous and I have a lot of novelty every week.

NINO ONIANI
ESC volunteer in Romania



Unfortunately, my volunteering in Gaziantep came to the end. These two months were remarkable and memorable! Every activity was pretty interesting for me but especially women entrepreneur meetings where they make women work and make their ideas into real-life business but honestly, I think this kind of thing

Emphasizes the fact that women are more excluded from society than men, of course, it is a really good idea to help women improve their ideas, but also, I think that it is important that women have to be integrated with men together. It was really interesting for me to work with refugee kids, I was helping them to teach how to draw but it turned out that they were way better than me, Turkish lessons also were pretty useful for me, for example, the total population of Gaziantep is nearly 3 million but I could say so that only maybe 10-15% speaks English so it was important for me, learned many words to had basic communication with locals, golf class and VR games were my favorite activities. I will start with a golf club in the first place, I have never played golf before and it was a great opportunity for me to learn I mean at least try how to play golf and it turned out that pretty cool, VR games have become my hobby I can't hide my admiration and surprise for the first time I saw VR room and the university in general. VR games are used to describe a new generation of computer games with virtual reality (VR) technology that gives players a truly immersive, first-person perspective of game action

ANA GAZDELIANI
ESC volunteer in Turkey



ღია ვაკანსიები

4 ESC პროექტი სლოვენიაში
shorturl.at/lrJTZ

ESC პროექტი ესპანეთში
9 თვე, დანყებული 2022 წლის აპრილიდან
shorturl.at/qLNV6

2 ESC პროექტი საფრანგეთში
shorturl.at/i3458


ESC პროექტი ლიტვაში
2022 წლის 15 აპრილი - 2023 წლის 15 აპრილი
shorturl.at/dyJQR

ESC პროექტი თურქეთში
2022 წლის 20 აპრილი - 2022 წლის 18 ივნისი
shorturl.at/tuHS4



open

მომავალი აქტივობები



1 აპრილიდან 10 აპრილამდე ვაწყობთ საერთაშორისო ტრენინგ-ვორკშოფს გრძელვადიანი პროექტის „Working for You/th rights“ ფარგლებში, რომელიც ჩატარდება თბილისში, საქართველოში.

აპრილის შუა
რიცხვებში
ვგეგმავთ ქალაქ
ბუგდიდის
მონახულებას ჩვენი
ახალი პროექტით
ESC ქარავანი!
ვაპირებთ
შევხვდეთ Erasmus+-
ით და მისი
შესაძლებლობებით
დაინტერესებულ
ახალგაზრდებს.

